

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საკონსტიტუციო სასამართლომ საიას სარჩელი დააკმაყოფილა

2008 წლის 23 ივნისის გადაწყვეტილებით, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ დააკმაყოფილა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სარჩელი და არაკონსტიტუციურად ცნო უცხო ქვეყნის მოქალაქეზე ქორწინების რეგისტრაციისათვის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობის სავალდებულობა. სასამართლომ კრიტიკულად შეაფასა სადავო ნორმის ლეგიტიმურობა და დაასკვნა, რომ სავალდებულო თანხმობის შემოღებით სახელმწიფომ დაბრკოლება შეუქმნა მოსარჩელის ქორწინების თავისუფლების რეალიზაციას ისე რომ არ დაუსაბუთებია, დემოკრატიული საზოგადოებისათვის აუცილებელ რა ლეგიტიმურ მიზანს ემსახურებოდა სამოქალაქო

რეესტრის სააგენტოს თანხმობა.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის შესახებ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის მე-5 პუნქტის ფორმულირების მიხედვით, უცხო ქვეყნის მოქალაქესთან ან მოქალაქეობის არმქონე პირთან საქართველოს მოქალაქის ქორწინების რეგისტრაცია დამოკიდებული იყო ადმინისტრაციული ორგანოს, კერძოდ, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ნებართვაზე.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) სადავო ნორმის არაკონსტიტუციურად ცნობის მოთხოვნით საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 18 მაისს მიმართა. საქმეში საია წარმოადგენდა საქართველოს მოქალაქის, სალომე წერეთელი-სტივენსის ინტერესებს, რომელმაც 2006 წლის 9 სექტემბერს აშშ-ს მოქალაქე მეთიუ რაიენ სტივენსზე იქორწინა. სადავო ნორმის საფუძველზე, მოსარჩელემ სამოქალაქო რეესტრის შესაბამის სამსახურში წარადგინა სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს სავალდებულო თანხმობა, რომელშიც, სახელმწიფო ბაჟის სახით 120 ლარი გადაიხადა. სარჩელის არსებითად განსახილველად მიღების შემდეგ, 2008 წლის 21 მარტს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი, რითაც ძალადაკარგულად ცნო სადავო ნორმა. თუმცა ამ ფაქტს არ გამოუწვევია საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელის არსებითი განხილვის შეწყვეტა.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მთლიანად გაიზიარა საიას არგუმენტაცია სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობასთან დაკავშირებით. კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ კონსტიტუციის 36-ე მუხლი არა მარტო კრძალავს პირთა ქორწინებას იძულებით, არამედ უზრუნველყოფს ყველასათვის, მათ შორის, უცხო სახელმწიფოს მოქალაქისათვის თავისუფლებას, დაქორწინდეს მის მიერ არჩეულ პარტნიორზე. საქმის მასალების გამოკვლევის შემდეგ, საკონსტიტუციო სასამართლო მივიდა დასკვნამდე, რომ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობა რაიმე დამოუკიდებელი დანიშნულება და მიზანი არ ჰქონდა. უფრო მეტიც, სააგენტო თანხმობის გაცემისას არ ახდენდა რაიმე ახალი გარემოების გამოკვლევას და დაქორწინების მსურველთათვის ხელოვნურ, შინაარსისგან დაცლილ ბარიერს ქმნიდა. სასამართლომ ვერ დაინახა დემოკრატიული საზოგადოებისათვის ღირებული ის სიკეთე, რომლის მიღწევას ან დაცვასაც ემსახურებოდა სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვა. შესაბამისად, სასამართლომ ჩათვალა, რომ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს თანხმობის ინსტიტუტი ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციის 36-ე მუხლის მოთხოვნებს და ხელყოფდა მოსარჩელის ქორწინების თავისუფლებას, რის გამოც სადავო ნორმა არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი.